

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს რეკომენდაციები ღია პარლამენტის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოს წარუდგინა რეკომენდაციები ღია პარლამენტის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით.

რეკომენდაციები შეეხება შემდეგ ძირითად საკითხებს :

- **საპარლამენტო კონტროლის გაძლიერება** - ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული ანგარიშების განხილვის პროცედურის დახვეწა
- **პარლამენტის საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდა** - პარლამენტის ვებ გვერდზე პარლამენტის წევრთა გაცდენების რაოდენობის და მიზეზების მითითება, სტენოგრაფიული ჩანაწერების, ოქმების აგვირთვა, ვიდეო არქივის შექმნა და აშ
- **პარლამენტის ხარჯების გამჭვირვალობის გაზრდა** - პარლამენტის წევრის მივლინების მიზნის, ხარჯის და დაფინანსების წყაროს პარლამენტის ვებ გვერდზე განთავსება
- **მოქალაქეთა ინფორმირების უზრუნველყოფა საპარლამენტო და კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესახებ** - განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება, საინფორმაციო ბიულეტენის სერვისის დახერხვა და აშ.

ინფორმაცია ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შესახებ

საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის 16 იანვარს პარლამენტის თავმჯდომარის [ბრძანებით](#) შექმნა ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. „ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭო“ დახმარებას უწევს საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც შედგება საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან. საკონსულტაციო საბჭოს ამოცანაა საპარლამენტო საბჭოსთვის რეკომენდაციების და წინადადებების მომზადება, უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობა და საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებათა განხორციელების მონიტორინგი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ საკოორდინაციო ჯგუფის წევრი იყო მერვე მოწვევის პარლამენტშიც, რომლის განმავლობაში შეთავაზებულ იქნა ვალდებულებები ღია პარლამენტის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმაში გასათვალისწინებლად. „საერთაშორისო

გამჭვირვალობა-საქართველომ” ასევე მოამზადა [ორი ანგარიში](#) სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

მეცხრე მოწვევის პარლამენტი 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმაზე დაიწყო მუშაობა. წარმოგიდგინებ ჩვენი ორგანიზაციის მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს ახალი ვალდებულებების შესახებ, რომლებიც მოიცავს წინა სამოქმედო გეგმით შეუსრულებელ ორ და შვიდ ახალ ვალდებულებას.

შეთავაზებული რეკომენდაციები დაეხმარება პარლამენტს ღიაობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესებაში და ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ინფორმირებას საკანონდებლო საქმიანობის შესახებ.

ვალდებულება № 1

უნდა გაძლიერდეს ინფორმაციის ღიაობაზე პარლამენტის კონგრული. პარლამენტის რეგლამენტით უნდა განისაზღვროს საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული ანგარიშის განხილვის პროცედურა და რეაგირების ეფექტიანი მექანიზმები. საკომიტეტო მოსმენებსა და პლენარულ სხდომებზე უნდა განხილვებოდეს ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული ანგარიშები, რომლის წარდგენაც ხდება საჯარო დაწესებულებების მიერ ყოველი წლის დეკემბერს, უნდა შეიქმნას და ამოქმედდეს შესაბამისი რეაგირების ეფექტიანი მექანიზმი.

მიმოხილვა

პარლამენტი საჯარო დაწესებულებებიდან იღებს ყოველწლიურ ანგარიშს ინფორმაციის თავისუფლების ისეთი ასპექტების შესახებ, როგორცაა საჯარო ინფორმაციის გაცემა, გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები, კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვა და სხდომის დახურვის საფუძვლები, პერსონალური ინფორმაციის დამუშავება, საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების დარღვევები. თუმცა **კანონმდებლობა არ აღგენს ასეთი დაწესებულების მიერ წარდგენილი ანგარიშების პარლამენტის მიერ განხილვის კონკრეტულ პროცედურას**, რომლის შედეგად ანგარიშების წარდგენას მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს. მნიშვნელოვანია პარლამენტის რეგლამენტით განისაზღვროს საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული ანგარიშის განხილვის პროცედურა და რეაგირების ეფექტიანი მექანიზმები.

ვალდებულება № 2

პარლამენტის ვებგვერდზე უნდა განთავსდეს ინფორმაცია პარლამენტის წევრების მიერ პლენარული და კომიტეტის სხდომების **საპატიო** მიზეზით გაცდენების შესახებ პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული **შესაბამისი მიზეზის მითითებით**.



მიმოხილვა

პარლამენტის ვებგვერდზე მოცემულია ინფორმაცია პლენარული და კომიტეტის სხდომის არასაპატიო მიზეზებით გაცდენის შესახებ. ვინაიდან საზოგადოების განხილვის საგანი არაერთხელ გახდა დეპუტატების საპარლამენტო საქმიანობაში მონაწილეობის ეს ასპექტი, მნიშვნელოვანია დაინტერესებულ პირს ჰქონდეს საშუალება პარლამენტის ვებ გვერდზე გაეცნოს **საპატიო მიზეზით გაცდენების** მონაცემებს, შესაბამისი მიზეზების მითითებით¹.

ვალდებულება № 3

პარლამენტის ვებგვერდზე სხდომების დასრულებიდან 1 სამუშაო დღეში უნდა გამოქვეყნდეს საკომიტეტო განხილვების **სტენოგრაფიული ჩანაწერები**. კომიტეტების სხდომების შესახებ ინფორმაციასთან ერთად პარლამენტის ვებგვერდზე უნდა განთავსდეს კომიტეტების სხდომების ვიდეოჩანაწერები და **ოქმები**.

მიმოხილვა

პარლამენტის ვებგვერდზე არ ქვეყნდება საკომიტეტო მოსმენების სტენოგრაფიული ჩანაწერები, რაც საკანონმდებლო პროცესის განმავლობაში მნიშვნელოვანი ინფორმაციის მაგარებელია. პრობლემას წარმოადგენს საკომიტეტო განხილვის ოქმების ვებ გვერდზე გამოქვეყნებაც. არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ისინი დაგვიანებით ქვეყნდება ან გარკვეული პერიოდის შემდეგ საერთოდ არ გამოქვეყნებულა.

ვალდებულება № 4

უნდა შეიქმნას პლენარული და კომიტეტის სხდომების თემატურად დაყოფილი **ვიდეო - აუდიო არქივი**.

მიმოხილვა

¹ პარლამენტის რეგლამენტის 133-ე მუხლის X პუნქტის თანახმად, პარლამენტის წევრის მიერ პლენარული და კომიტეტის სხდომების გაცდენის საპატიო მიზეზად ითვლება **ავადმყოფობა, ოჯახური მდგომარეობა, სამსახურებრივი მივლინება**. ასევე საპატიოა პოლიტიკური მოსაზრებით გაცდენა. მერვე მოწვევის პარლამენტში საპატიო მიზეზით პლენარული სხდომის **5913** გაცდენა დაფიქსირდა. აქედან მივლინება - **855**, ავადმყოფობა - **417**, პოლიტიკური მოსაზრების გამო - **541**, ოჯახური მდგომარეობის გამო - **4100**



პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით ხორციელდება პარლამენტის პლენარული სხდომის და საკომიტეტო მოსმენის პირდაპირი ვიდეოტრანსლაცია, პრობლემას წარმოადგენს წინა პერიოდის განხილვების ჩანაწერების შესახებ ინფორმაციის მოძიება, ვინაიდან ტრანსლაციის შემდეგ ხდება აღნიშნული ინფორმაციის წაშლა, რის გამოც რთულია აღრეული ჩანაწერების მოძიება. აღნიშნული დაბრკოლებას უქმნის სამოქალაქო საზოგადოებას, რომ სრული წვდომა ჰქონდეს პარლამენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე. მნიშვნელოვანია ასევე მათი თემატური (კომიტეტების მიხედვით, თარიღების მიხედვით) არქივის შექმნა. იხილეთ ინგლისის მაგალითი:

ვალდებულება № 5

პარლამენტის ვებგვერდზე უნდა განთავსდეს ინფორმაცია პარლამენტის თითოეული წევრის მივლინების მიზნის/სამუშაო პროგრამის და ხარჯების შესახებ, მათ შორის პარლამენტისა და სხვა ორგანიზაციების თანამონაწილობით გაწეული ხარჯების მითითებით.

მიმოხილვა

პარლამენტის ვებ გვერდზე მოცემულია ინფორმაცია მივლინებების შესახებ, რომელიც მოცემულია ზოგადი აღწერის სახით. საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით მიზანშეწონილია მოხდეს კონკრეტული და სრული ინფორმაციის გამოქვეყნება, რაც მოიცავს შესაბამისი გაწეული ხარჯის მითითებას და ასევე მივლინების მიზნის შესახებ ინფორმაციის მითითებას. იხილეთ ინგლისის მაგალითი:



Assembly Member Allowances Search Results

Results: Page 1 of 194 from 1932 results

Change Text Size:

No.	Member Name	Allowance Type	Expenditure Type	Amount	
1	Altaf Hussain	Office Costs Allowance	Mobile Telephone	£54.08	View Details
2	Lesley Griffiths	Additional Costs Allowance	Second Home Rental	£725.00	View Details
3	Andrew RT Davies	Office Costs Allowance	Office Rent	£650.00	View Details
4	Ann Jones	Office Costs Allowance	Office Equipment - Lease	£758.87	View Details
5	Ann Jones	UK Travel	Rail Travel - Regular	£59.85	View Details
6	Janet Haworth	Office Costs Allowance	Waste Collection	£24.00	View Details
7	Mark Isherwood	Office Costs Allowance	Mobile Telephone	£30.07	View Details
8	Janet Finch-Saunders	Additional Costs Allowance	Second Home Rental	£850.00	View Details
9	Hefin David	Cardiff Overnight Stay Allowance	Cardiff Hotel Costs	£67.50	View Details
10	Lynne Neagle	Office Costs Allowance	Office Telephone	£113.69	View Details

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 » Last

Page Total: £3,333.06

Search Total over 1932 claims: £379,418.35

ვალდებულება № 6

პარლამენტის წევრები და აპარატის თანამშრომლები საჯარო სკოლებში, უნივერსიტეტებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში რეგულარულად აგარებდნენ **ლექციებსა და პრეზენტაციებს საპარლამენტო საქმიანობის შესახებ**. საინფორმაციო ექსკურსიები და ტურები უნდა გარდებოდა არა მხოლოდ სასწავლო დაწესებულებების მიმართვის საფუძველზე, ასევე პარლამენტის ინიციატივითაც, განსაკუთრებით, სოციალურად დაუცველი ფენების წარმომადგენლებისთვის.

მიმოხილვა

პარლამენტში გარდება ჯგუფური ექსკურსიები, რომელთა შესახებ ინფორმაცია და გრაფიკი ხელმისაწვდომია პარლამენტის ვებგვერდზე. ექსკურსიების უმეტესობის ორგანიზება სკოლებისა და უნივერსიტეტების მიმართვის საფუძველზე ხდება. მაგალითად, 2015 წლის პირველ კვარტალში დამთვალიერებელთა რაოდენობამ როგორც თბილისში, ისე ქუთაისში, საშუალოდ 500 ადამიანი შეადგინა. თუმცა, რადგან პარლამენტში საინფორმაციო ტურისათვის მისვლა გარკვეულ ფინანსურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, ის ყველა რეგიონში მცხოვრები მოსწავლეებისთვის არ არის ხელმისაწვდომი. არ არსებობს პრაქტიკა, რომ პარლამენტის წევრების მიერ გარდებოდა საჯარო ლექციები ან შეხვედრები სამოქალაქო განათლების დონის ამაღლების მიზნით.

ვალდებულება № 7



უნდა დაინერგოს საინფორმაციო ბიულეტენის სერვისი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება საკანონმდებლო ორგანოდან ელექტრონული ფოსტის/მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით შეტყობინებების გაგზავნა სიახლეების, კანონების და განახლებული ინფორმაციის შესახებ.

მიმოხილვა

არსებული მდგომარეობით, დაინტერესებულ პირს არ აქვს შესაძლებლობა გამოიწეროს და მიიღოს პარლამენტში მიმდინარე აქტივობებისა თუ მიმდინარე სიახლეების შესახებ ინფორმაცია. იხილეთ ინგლისის მაგალითი:



www.parliament.uk

Home Parliamentary business MPs, Lords & offices About Parliament Get involved Visiting Education

Email Updates

To sign up for updates or to access your subscriber preferences, please enter your contact information below.

Email Address *

SUBMIT

CANCEL

Your contact information is used to deliver requested updates or to access your subscriber preferences.

[Privacy Policy](#) - [Help](#)

ვალდებულება № 8

განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება და შესაბამისი ცვლილებების საკანონმდებლო ღონებე ასახვა.

მიმოხილვა

2015-2016 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ იქნა ვალდებულების სახით ჩვენი ინციდენტობა - მომხდარიყო განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ და პარლამენტის იურიდიულმა დეპარტამენტმა



ერთობლივად იმუშავეს განმარტებითი ბარათის შესახებ საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზზე. მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანი იყო საკონსულტაციო ჯგუფის წევრი ორგანიზაციების რეკომენდაციები. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ წინადადების თანახმად, განმარტებითი ბარათები უნდა შეიცავდეს არსებული საგან განსხვავებით უფრო ვრცელ და დეტალურ ინფორმაციას კანონპროექტის მიზანის, მიზების, შედარებითი ანალიზის, ფინანსური დასაბუთების და სხვადასხვა მიმართულებებზე ზეგავლენის შესახებ.

ვალდებულება № 9

კომიტეტის სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის საკითხის განსაზღვრა, რომელიც შეიძლება განისაზღვროს სათანადო/მიზანშეწონილი დასაბუთების წარდგენით.

მიმოხილვა:

არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია დაინტერესებული პირები ინფორმირებულნი იყვნენ პარლამენტში განსახილველი საკითხების შესახებ, რის შესახებაც შესაბამისი ინფორმაცია ქვეყნდება პარლამენტის ვებ გვერდზე. თუმცა არის შემთხვევები როდესაც დღის წესრიგში ცვლილების შეტანა, მათ შორის მნიშვნელოვანი საკითხების დამატება ხდება დაუგეგმავად, რაც ერთის მხრივ დაინტერესებულ პირს ართმევს საშუალებას დააკვირდეს ან ჩართული იყოს აღიშნულ პროცესში. ჩვენი დაკვირვების ფარგლებში იყო შემთხვევები, როდესაც დაუსაბუთებლად ხდებოდა საკითხების დამატება. აღიშნულის თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია შესაბამისი ცვლილება შევიდეს პარლამენტის რეგლამენტში², სადაც შეიძლება განისაზღვროს, რომ მხოლოდ სათანადო/მიზანშეწონილი დასაბუთების საფუძველზე მოხდება დღის წესრიგში ცვლილების შეტანა. აღიშნული დამატებით გარანტიას და დაინტერესებული პირის შესაძლებლობას წარმოშობს, შეაფასოს კომიტეტის მიერ წარდგენილი მიზეზის დასაბუთებულობის ხარისხი.

² საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 49-ე მუხლის მეცხრე პუნქტის თანახმად, კომიტეტის სხდომის დღის წესრიგს განსაზღვრავს კომიტეტის თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან კომიტეტის წევრის (წევრების) მოთხოვნით. დღის წესრიგიდან საკითხის ამოღების ან დღის წესრიგში საკითხის შეტანის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

